ბრძანება:№46. 462328214
თარიღი:09/10/2023

მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში მერის ინიციატივით დასახლების საერთო კრების მოწვევის ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 85^{I} - 85^{5}-ე მუხლების და ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 სექტემბრის #27 დადგენილების შესაბამისად

ვბრძანებ:

1. მოქალაქეების ჩართულობით, დასახლებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით მოწვეული იქნეს დასახლების საერთო კრება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შემდეგ დასახლებებში:

ა) სოფელი შუა სურები - 2023 წლის 25 ოქტომბერი, 13:00 საათი;

ბ) სოფელი ბუკისციხე - 2023 წლის 26 ოქტომბერი, 13:00 საათი;

გ) სოფელი ქვაბღა -2023 წლის 27 ოქტომბერი, 13:00 საათი.

2. დასახლებების საერთო კრების სხდომის დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: ,,ცხოვრების დონის გაუმჯობესების მიზნით, მოსახლეობის საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით სოფლის განვითარების პერსპექტივები“.

3. USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის (CSI) მხარდაჭერით, კანონმდებლობით დადგენილი ჩარჩოს გათვალისწინებით, დასახლების საერთო კრების მექანიზმის ეფექტურად ამუშავებისა და მოსახლეობის ჩართულობის წახალისების მიზნით, დასახლების საერთო კრების ჩატარების დროს გამოყენებული იქნეს შემდეგი ინოვაციური ინსტრუმენტები: მოქალაქეთა ანსამბლეა, სამოქალაქო ლაბორატორია, თავისუფალი სივრცის ტექნოლოგია. ინსტრუმენტების აღწერა თან ერთვის (დანართი 1).

4. დამტკიცდეს, დასახლების საერთო კრების წევრთა რეგისტრაციის ფორმა (დანართი 2).

5. დამტკიცდეს დასახლების საერთო კრების ოქმის ფორმა (დანართი 3).

6. დაევალოს, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს საერთო კრების მოწვევის საორგანიზაციო და სამართლებრივი უზრუნველყოფა.

7. დაევალოს, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურს (თეა უჯმაჯურიძე), შეიმუშავოს საერთო კრების მოწვევასთან დაკავშირებით განსახორციელებელი აქტივობების ნუსხა.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქუჩა N4.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით შარაშიძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია-
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი